ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის
წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიში

25 თებერვალი, 2024
თბილისი, საქართველო

შესავალი

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საერთაშორისო სადამკვირვებლო დელეგაციის მიერ, რომელიც საქართველოს 19-25 თებერვალს, 2024 წლის ოქტომბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ სტუმრობდა. აღნიშნული არჩევნები არის საქართველოსთვის პირველი არჩევნები ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ; ამასთანავე, პირველად გაიმართება არჩევნები ახალი საარჩევნო სისტემით, რომელიც საპარლამენტო მანდატების პროპორციული წარმომადგენლობით გადანაწილებასა და პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევას გულისხმობს. არჩევნების დღეს, ასევე ფართოდ იქნება გამოყენებული ახალი ტექნოლოგიები. დელეგაცია მიზნად ისახავდა საპარლამენტო არჩევნებისთვის ქვეყანაში არსებული ზოგადი პოლიტიკური გარემოს მიუკერძოებელ და ზუსტ შეფასებას, მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესების მიმოხილვას, აგრეთვე უფრო ინკლუზიური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საარჩევნო პროცესების ხელშესაწყობად რეკომენდაციების შემუშავებასა და საქართველოში სანდო არჩევნებისა და დემოკრატიული მმართველობისადმი საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის დემონსტრირებას.

დელეგაციის წევრები იყვნენ: ან ლინდე, შვედეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი; პერ ეკლუნდი, ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი საქართველოში; მაიკლ პოზნერი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიუროში სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე; დენიელ გოტფრიდი, სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის კაბინეტის საკანონმდებლო და პოლიტიკის ანალიტიკოსი; ევა ბუშა, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ევრაზიის რეგიონული დირექტორი; და რიჩარდ კლაინი, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) არჩევნების პროგრამების დირექტორი.

დელეგაციამ საქმიანობა *არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ*

დეკლარაციისა და თანმდევი *საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებელთა ქცევის კოდექსის*[1] შესაბამისად განახორციელა, რომელიც თანხვედრაშია არჩევნების საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებსა (მათ შორის ვენეციის კომისიის მოსაზრებების) და საქართველოს კანონმდებლობასთან. საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებლებს შორის თანამშრომლობის შესახებ ერთობლივი კომუნიკეს შესაბამისად, დელეგაციის საქმიანობა სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან კოორდინაციასა და მათ ძალისხმევას ეფუძნება. დელეგაცია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ იყო დაფინანსებული.

დელეგაცია ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენელსა და არჩევნებში ჩართულ მხარეთა ფართო სპექტრს შეხვდა, მათ შორის: ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) თავმჯდომარეს, საქართველოს პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს, მმართველი და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს - კერძოდ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას (საია), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას (სამართლიანი არჩევნები), საერთო სამოქალაქო მოძრაობა - მრავალეროვან საქართველოს (PMMG), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს (საერთაშორისო გამჭვირვალობა), საზოგადოებრივი მაუწყებლისა და კერძო მედიის წარმომადგენლებს ფართო პოლიტიკური სპექტრიდან, ასევე დიპლომატიურ მისიებსა და დონორ ორგანიზაციებს. დელეგაცია მადლიერია გულთბილი დახვედრისთვის და არჩევნებში ჩართული მხარეების მიერ გაზიარებული მოსაზრებებისთვის, რაც დელეგაციის მისიის განხორციელებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) აღნიშნული წინასაარჩევნო დელეგაცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში მოიწვია. ინსტიტუტი დელეგაციას არჩევნების დღემდე კიდევ ერთხელ მოიწვევს, რათა შეაფასოს საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული ცვლილებები, არჩევნების მზადების პერიოდში განვითარებული მოვლენები და პროგრესი უკვე გაცემულ რეკომენდაციებზე. მეორე წინასაარჩევნო დელეგაციაც გამოაქვეყნებს ანგარიშს მათი მიგნებების შესახებ. ამას გარდა, NDI საქართველოში გამოაგზავნის გრძელვადიანი ანალიტიკოსების მისიას საკვანძო საარჩევნო საკითხების შესაფასებლად; ხოლო არჩევნების დღეს NDI-ის დელეგაცია დააკვირდება ხმის მიცემისა და დათვლის პროცესს და საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით პირველად ანგარიშს გამოაქვეყნებს. 2024 წლის საარჩევნო პროცესების დასრულების შემდეგ, გამოქვეყნდება ყოვლისმომცველი, საბოლოო ანგარიში.

დელეგაცია წინასაარჩევნო მიგნებებსა და რეკომენდაციებს საქართველოს მხარდაჭერისა და არჩევნებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მიზნით გვთავაზობს.

[1] *პრინციპების შესახებ დეკლარაცია* და თანმდევი *ქცევის კოდექსი* გაერომ 2005 წელს შეიმუშავა და მას შეუერთდა 55 წამყვანი საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია.

საბოლოო ჯამში, ქართველი ხალხი განსაზღვრავს მათი არჩევნების მნიშვნელობას, სანდოობასა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

შეჯამება

2024 წლის 26 ოქტომბერს დაგეგმილი საქართველოს საპარლამენტო არჩევნები პირველი არჩევნებია, რომელიც 2023 წლის დეკემბერში ქვეყნისთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგ ჩატარდება. როგორც საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლში არის ასახული, საქართველოს მოსახლეობამ, განურჩევლად პოლიტიკური სიმპათიებისა, ევროკავშირში გაწევრიანების მკაფიო სურვილი გამოხატა და, შესაბამისად, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება წინ გადადგმულ ნაბიჯად აღიქვა. ამ პროცესში, ევროკავშირის მიერ საქართველოსადმი გაცემულ 9 რეკომენდაციას შორის ერთ-ერთი თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული არჩევნების ჩატარებაა, რაც საქართველომ ევროკავშირთან მოლაპარაკებების დასაწყებად და შედეგად, ევროკავშირში გასაწევრიანებლად უნდა უზრუნველყოს. სწორედ ამიტომ, საქართველოში წინასაარჩევნო გარემო და არჩევნების დღე ევროკავშირის 27 წევრის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი იქნება. არჩევნები საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა თავიანთი ქვეყნის მიმართულების განსაზღვრაში. ამასთან, არჩევნები საქართველოს ხელისუფლებას და ყველა დაინტერესებულ პოლიტიკურ მხარეს აძლევს შესაძლებლობას, დაამტკიცონ ერთგულება ინკლუზიური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული არჩევნების პრინციპების და დემოკრატიული ღირებულებების მიმართ.

საპარლამენტო არჩევნებამდე რვა, ხოლო წინასაარჩევნო კამპანიების დაწყებამდე ექვსი თვით ადრე პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება, მათ შორის: მოსახლეობის მიერ დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის ურყევი მხარდაჭერა[2]; საზოგადოების დადებითი განწყობა პოლიციის მიმართ[3] და მოსახლეობის აღქმით წვრილმანი კორუფციის მნიშვნელოვნად შემცირებული დონე[4]; გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით სამთავრობო დადგენილებების გასაჯაროების პრაქტიკის განახლება; არჩევნების დღის პროცესების გაუმჯობესების მიზნით ინოვაციების დანერგვა. ამავდროულად, არსებობს საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც გადაჭრას საჭიროებს: პოლარიზაცია, სამოქალაქო საზოგადოების (მათ შორის, სადამკვირვებლო ორგანიზაციების) წინააღმდეგ მიმართული სიტყვიერი თავდასხმები, პოლიტიკური სარგებლის მიღების მიზნით ადმინისტრაციული რესურსების არაკეთილსინდისიერად გამოყენების შესახებ არსებული ეჭვები და ახალი საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებული კითხვები.

---

[2] იხ: NDI-ის კვლევის ანგარიში "საზოგადოების განწყობა საქართველოში - 2022 წლის აგვისტოში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები," 2022.

[3] იხ: IRI-ის კვლევის ანგარიში "Georgian Survey of Public Opinion," 2023.

[4] ბოლო 20 წლის განმავლობაში, საქართველო "საერთაშორისო გამჭვირვალობის" კორუფციის რეიტინგში დაწინაურდა: 2003 წელს - 133 ქვეყნიდან 127-ე ადგილი, 2023 წელს - 180 ქვეყნიდან 49-ე ადგილი.

საქართველოს არჩევნებს მართავს საარჩევნო ადმინისტრაცია - ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), არის მაღალი პროფესიონალიზმის მქონე, კომპეტენტური საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანო, რომელმაც ბოლო წლების არჩევნებში კენჭისყრის დღის პროცესების ადმინისტრირებისა და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით ჩატარების მაღალი ტექნიკური ექსპერტიზა გამოავლინა. არჩევნების დღეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა პროცესების გაუმჯობესების შესაძლებლობას წარმოადგენს. ცესკომ ახალი ტექნოლოგიები გასულ არჩევნებზე შეზღუდულ საპილოტე რეჟიმში გამოიყენა და, დამატებით, სადემონსტრაციო სივრცეებს აწყობს, სადაც ამომრჩევლებს ტექნოლოგიებისა და ბიულეტენების შევსების ახალი მეთოდის გამოცდა შეუძლიათ. ცესკოს მიერ სხვადასხვა ჩართულ მხარესთან საარჩევნო უბნებზე დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობის თაობაზე გამართული კონსულტაციები მონაწილეობითი და კონსენსუსზე დაფუძნებული პროცესის დადებით მაგალითს წარმოადგენს. პოზიტიურად ფასდება, ასევე: ყველა პოლიტიკური პარტიის გაცხადებული გეგმა, აწარმოონ საკითხებზე ორიენტირებული კამპანიები; მაღალი სანდოობის მქონე სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის, სადამკვირვებლო ორგანიზაციების არსებობა, როგორიცაა საია, სამართლიანი არჩევნები, PMMG და საერთაშორისო გამჭვირვალობა, და ასევე, აზრთა ფართო სპექტრის წარმომადგენელი მედიის არსებობა.

მიუხედავად ამ დადებითი ასპექტებისა, რჩება გარკვეული გამოწვევები, რომელთა უგულებელყოფამაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას საარჩევნო პროცესების სანდოობას. ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ პოლიტიკური პარტიებსა და მათ მხარდამჭერებს კონკრეტულ პოლიტიკურ პერსონალიებზე დაფუძნებული პოლარიზაცია ახასიათებთ, შედეგად ახალი პოლიტიკური ალტერნატივის მიმღებლობა ძალზე დაბალია. გარდა ამისა, იკვეთება პოლიტიკური აქტორების თვითრეფლექსიისა და სამომავლო ხედვების ჩამოყალიბების საჭიროება. აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებზე დისკუსიის ნაცვლად, პოლიტიკაში ჩართული მხარეების ყურადღება ოპონენტების წარსულ შეცდომებზე ფოკუსირდება. განსაკუთრებით შემაშფოთებელია სამოქალაქო საზოგადოებაზე, მათ შორის მიუკერძოებელ სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციებზე სიტყვიერი თავდასხმები. შემაშფოთებელია, ასევე, ქალ პოლიტიკოსებსა და სამოქალაქო ლიდერებზე მიმართული გენდერული ნიშნით მოტივირებული თავდასხმები. ეს უკიდურესად დამაზიანებელია და აფერხებს ქალთა მონაწილეობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც ზიანს აყენებს დემოკრატიის წარმომადგენლობითობას. მიუხედავად ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის გაძლიერებისთვის გაწეული ძალისხმევისა, დღემდე მიღებული ზომები საკმარისი არ არის. აუცილებელია დამატებითი ძალისხმევა, რათა ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებს არჩევნების ყველა ასპექტის შესახებ ჰქონდეთ სრულფასოვანი ინფორმაცია, მათ შორის ტექნოლოგიების დანერგვისა და პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების თაობაზე. ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი (ლგბტქი+) თემის წარმომადგენლების თანასწორი და ღირსეული მოპყრობა

ჯანსაღი დემოკრატიის ნიშანია. მნიშვნელოვანია ამ და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ წარსულში განხორციელებული ძალადობისა და დისკრიმინაციის ფაქტებზე სათანადო რეაგირება. მთავრობას შესწევს უნარი და აქვს ვალდებულება, წინასაარჩევნო პერიოდში ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადადგას.

წინა არჩევნების მსგავსად, გავრცელებულია შეხედულება, რომ ხელისუფლებამ, არჩევნებში უპირატესობის მოსაპოვებლად, შესაძლოა, ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენოს. აღნიშნულ მოლოდინს ამძაფრებს საქართველოს პროკურატურაში წარსულში წარდგენილი ბრალდებების ირგვლივ კომუნიკაციისა და გამჭვირვალობის ნაკლებობა და არჩევნებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის როლის ირგვლივ არსებული ბუნდოვანება. ძირითადი სამაუწყებლო მედია საშუალებების სარედაქციო პოლიტიკა პარტიულ ინტერესებს ასახავს. თუ არ ჩავთვლით ონლაინ მედია საშუალებებს, სამაუწყებლო სივრცე პარტიებს შორის შინაარსიანი დისკუსიებისთვის შეზღუდულია. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გააჩნია ტექნიკური კომპეტენცია, ცესკოს მიმართ საზოგადოების ნდობას აზიანებს მისი შემადგენლობისა და კომისიის წევრების არჩევის შესახებ კონსენსუსის ნაკლებობა. საქართველოს მოსახლეობა არჩევნების დღეს ტექნოლოგიების გამოყენებას მიესალმება, თუმცა ახალ ტექნოლოგიებზე ინფორმაციის ნაკლებობა და ხმის ფარულობის დარღვევის შესახებ გამოთქმული ეჭვები გარკვეულ კითხვებს ბადებს. 5%-იანი საარჩევნო ბარიერი და საარჩევნო ბლოკების აკრძალვა პლურალიზმის შემცირებისა და, შედეგად, ნაკლებად წარმომადგენლობითი პარლამენტის მიღების რისკებს შეიცავს.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე საკმაო დროა დარჩენილი იმისთვის, რომ თავისუფალი საარჩევნო გარემო შეიქმნას და 2024 წლის არჩევნები საქართველოს დემოკრატიის გზაზე წინგადადგმულ ნაბიჯად შეფასდეს. დელეგაცია ჩართულ მხარეებს შემდეგ პრიორიტეტულ სამოქმედო მიმართულებებს სთავაზობს:

- პოლიტიკურ პოლარიზაციასთან საბრძოლველად, საარჩევნო პროცესებში ჩართულმა ყველა მხარემ საჯაროდ ცნოს სხვა აქტორების, მათ შორის განსხვავებული ხედვების მქონე მხარეთა, ლეგიტიმურობა და პროაქტიულად აღიაროს, რომ დემოკრატიული არჩევნების არსი განსხვავებული შეხედულებების მქონე პირთა პატივისცემაა. ამასთანავე, შეწყდეს სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ მტრული რიტორიკა და მათი საქმიანობის დისკრედიტაციის მცდელობები.

- საარჩევნო პროცესებში ჩართულმა ყველა მხარემ, მათ შორის უსაფრთხოების სამსახურებმა, დაგმონ ფიზიკური ძალადობა და სიტყვიერი თავდასხმები, რათა არჩევნებში ყველა მოქალაქის თავისუფალი მონაწილეობა უზრუნველყონ.

- საარჩევნო პროცესებში ჩართულმა მხარეებმა საჯაროდ აღიარონ, რომ სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციები სანდო საარჩევნო პროცესებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და მათ მიერ მომზადებული ანგარიშები, მიგნებები და

რეკომენდაციები არჩევნების სანდოობის ხელშეწყობას ემსახურება.

- პოლიტიკურმა პარტიებმა, ხელისუფლების და მედიის წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ ჟურნალისტების და ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების, განსაკუთრებით ლგბტქი+ თემის, წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის გამოყენებისგან ან გაშუქებისგან და ქალ პოლიტიკოსებსა და სამოქალაქო აქტივისტებზე მიზოგინიური თავდასხმებისგან.

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნების დღეს მისი როლის გამჭვირვალობა; აგრეთვე, კენჭისყრის ფარულობისადმი ნდობის გაძლიერების მიზნით, უპასუხოს სამინისტროს საქმიანობის ირგვლივ არსებულ ეჭვებს.

- საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და კერძო მედია საშუალებებმა საკუთარ პროგრამებში ჩართონ პოლიტიკური პარტიების მრავალფეროვანი სპექტრი. ყველა პოლიტიკური პარტია შეთანხმდეს, რომ ჩაერთვებიან როგორც თანამოაზრე, ისე განსხვავებული პოზიციების მქონე მედიის გადაცემებში და მონაწილეობას მიიღებენ კანდიდატებს შორის გამართულ დებატებში.

- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააძლიეროს კენჭისყრის ფარულობის შესახებ ეჭვების დაძლევისკენ მიმართული ძალისხმევა; იმუშაოს ყველა პოლიტიკურ პარტიასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რათა ამომრჩეველთა ინფორმირების გზით, დაარწმუნოს მოსახლეობა, მათ შორის ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფები, რომ მათი ხმის ფარულობა დაცულია.

- სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილოს არჩევნების ტექნოლოგიების ეროვნული მასშტაბის ტესტირება, რომელიც გაიმართება არჩევნების დღისთვის დამახასიათებელ პირობებში, რათა კიდევ უფრო გაზარდოს საზოგადოების ნდობა.

- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, არჩევნებში სრულფასოვანი მონაწილეობა, ამ ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული პირობებისა და ამომრჩეველთა საგანმანათლებლო მასალების შემუშავებით.

- ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და საგარეო საქმეთა სამინისტრომ წარმართოს საზღვარგარეთ უბნების შექმნის უფრო გამჭვირვალე პროცესი და, სადაც შესაძლებელია, უზრუნველყოს საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების პასიური საარჩევნო უფლების რეალიზება.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებისთვის თავისუფალი გარემოს შექმნა ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, ხოლო არჩევნების ჩატარება, კონსტიტუციის მიხედვით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მანდატია, საბოლოოდ, ქვეყნის დემოკრატიული ნორმებისადმი ერთგულების დემონსტრირება, ამომრჩეველთა ინფორმირება და წინასაარჩევნო პროცესში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა არჩევნებში ჩართული ყველა მხარის, მათ შორის ყველა პოლიტიკური პარტიის, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიის პასუხისმგებლობაც არის.

დელეგაციის მიგნებები

საკანონმდებლო ჩარჩო

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში მნიშვნელოვანი სისტემური საარჩევნო ცვლილებები განხორციელდა, მათ შორის საპრეზიდენტოდან საპარლამენტო მოწყობაზე გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს საარჩევნო პროცესის მოდერნიზებას, მათ ირგვლივ ასევე წარმოიშვა დებატები ქვეყნის მმართველობის სტრუქტურასა და შეკავების და გაწონასწორების მექანიზმთან დაკავშირებით. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები იქნება პირველი სრულად პროპორციული არჩევნები, როგორც ეს 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით განისაზღვრა. მანამდე ქვეყანაში მოქმედებდა შერეული საარჩევნო სისტემა, სადაც პარლამენტის 150 წევრიდან დაახლოებით ნახევარი არჩეული იყო ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქებიდან, ხოლო დარჩენილი ადგილები არჩევნების შედეგების საფუძველზე პროპორციულად ნაწილდებოდა პოლიტიკურ პარტიებს შორის. 2020 წელს ქვეყანაში ერთმანდატიანი ოლქების რაოდენობა 30-მდე შემცირდა. მხარეებმა გარკვეული წუხილები გამოთქვეს 5%-იან ბარიერთან და საარჩევნო ბლოკების აკრძალვასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ 5 პროცენტიანი ბარიერი შესაძლოა პოლიტიკური ფრაგმენტაციის წინააღმდეგ საბრძოლველად ყოფილიყო გამიზნული, ახალმა წესებმა, რომელიც კრძალავს საარჩევნო ბლოკებს, შესაძლოა ეს მიზანი დააზიანოს. შედეგად, აღნიშნული ცვლილებები შეიცავს პლურალიზმის შემცირებისა და ნაკლებად წარმომადგენლობითი პარლამენტის მიღების რისკებს. 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით ასევე გაუქმდა პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა, რომელიც ძალაში 2024 წლიდან შედის. შემცირდა პრეზიდენტის ოფისის ძალაუფლებაც.

მთელი რიგი ცვლილებები შევიდა საარჩევნო კანონმდებლობაში, რომელთაგან ნაწილი ვენეციის კომისიისა და ევროკავშირის რეკომენდაციით განხორციელდა. საპარლამენტო არჩევნები იმართება ოქტომბრის ბოლო შაბათს, შესაბამისად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები 26 ოქტომბერს არის დაგეგმილი. საარჩევნო ადმინისტრაცია ფუნქციონირებს სამ დონიანი სტრუქტურით, რომელიც შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) და მისი აპარატისაგან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიისგან (უსკო) და მისი აპარატისგან, საოლქო საარჩევნო კომისიებისა და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან. 2024 წლის არჩევნებისთვის ფუნქციონირებს 73 საოლქო საარჩევნო კომისია და 2755 საუბნო საარჩევნო კომისია. თითოეული საარჩევნო კომისია 17 წევრისგან შედგება, მათგან

9 პოლიტიკური პარტიების მიერ არის დანიშნული, 8 კი პროფესიული ნიშნით არჩეული წევრია.

საარჩევნო კოდექსში შეტანილი ბოლო ცვლილებები, მათ შორის ის ცვლილებები, რომლებიც მესამე მოსმენით იქნა მიღებული 2024 წლის 20 თებერვალს, როდესაც დელეგაცია საქართველოში იმყოფებოდა, არ შეესაბამება ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს და, შესაძლოა, კიდევ უფრო შეამციროს ნდობა ცესკოს მიმართ. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ცესკოს შემადგენლობისა და წევრების არჩევის პროცესმა. პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში კონსენსუსის უზრუნველსაყოფად, 19 აპრილის შეთანხმებით, რეკომენდებული იყო ცვლილებების განხორციელება ცესკოს წევრების დანიშვნის პროცესში, რათა კონსენსუსის საფუძველზე, პარლამენტის ორი მესამედის მხარდაჭერით მომხდარიყო ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების ხუთი წლის ვადით არჩევა. არასაკმარისი მხარდაჭერის გამო, ცესკოს ამჟამინდელი თავმჯდომარე 2021 წლის აგვისტოში ექვსი თვის ვადით აირჩიეს. ამ დროიდან არცერთ დასახელებულ კანდიდატს არ მიუღია ხმების ორი მესამედი და შედეგად, საარჩევნო კოდექსის საფუძველზე, კალანდარიშვილი ასრულებს თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახალი თავმჯდომარის არჩევამდე. საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით ცესკოს წევრების დასახელების უფლებამოსილება პრეზიდენტიდან პარლამენტის თავმჯდომარეზე გადავიდა და არჩევისთვის საჭირო ხმების რაოდენობაც რამდენჯერმე შეიცვალა. ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა შეამცირა საჭირო კვორუმი პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედიდან უბრალო უმრავლესობამდე და საბოლოოდ, 2024 წლის თებერვლის მდგომარეობით, პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის მხარდაჭერაა საჭირო თავმჯდომარის და პროფესიული წევრების 5 წლის ვადით ასარჩევად. რაც ყველაზე საყურადღებოა, გაუქმდა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, რომელიც ცესკოს ოპოზიციური პარტიებიდან დანიშნულ წევრს ეკავა. ეს ყოველივე, საპარლამენტო არჩევნებისთვის განსაზღვრულ მაღალ ბარიერთან ერთად, ამცირებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევისა და ცესკოს მიუკერძოებლობისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდის შესაძლებლობებს.

საარჩევნო რეფორმებთან ერთად, 2022 წლის ნოემბერში ანტიკორუფციული ბიუროს შექმნით საქართველოს მიერ კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა თანხვედრაშია ევროკომისიის რეკომენდაციებთან. ბიუროს მანდატით დაევალა კორუფციასთან ბრძოლა, პოლიტიკური პარტიების ფინანსებისა და საჯარო მოხელეების ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი და ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელების ზედამხედველობა. თუმცა, გაჩნდა კითხვები ბიუროს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ბიუროს ეფექტურობის უზრუნველსაყოფად[5] დამატებითი გარანტიების შემუშავების საჭიროება

[5] იხ: ვენეციის კომისიის "მოსაზრება "კორუფციასთან ბრძოლის შესახებ" კანონში ანტიკორუფციული ბიუროს თაობაზე შესაბამის დებულებებზე" 15-16 დეკემბერი, 2023.

დადგა. პოლიტიკური ფინანსებისა და ქონებრივი დეკლარაციების ზედამხედველობის უფლებამოსილების მიუხედავად, ბიუროს არ გააჩნია საგამოძიებო უფლებამოსილებები და ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ და უსაფრთხოების სამსახურებისა და პროკურატურის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას[6].

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების სამზადისში, აღნიშნული მოვლენები ხაზს უსვამს ქვეყნის საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს პროგრესირებად ბუნებას და დემოკრატიული პრინციპებისა და ინსტიტუციური კეთილსინდისიერების აუცილებლობას.

პარტიები და პოლიტიკური დისკურსი

ბოლო წლებში ქართულ პოლიტიკას უნდობლობა, პარტიების მმართველ წრეებში არსებული, პერსონალიებზე დაფუძნებული პოლარიზაცია და პოლიტიკური ოპონენტების დემონიზების შემთხვევები ახასიათებს. პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ სურვილი გვერდით გადადონ პიროვნული განსხვავებები და კონსტრუქციულად, ერთიანი ძალებით უპასუხონ არსებულ გამოწვევებს. შედეგად, არ ხდება მოსახლეობის უფლებებსა და საჭიროებებზე ადეკვატური რეაგირება. ეს არჩევნები ყველა პოლიტიკურ პარტიას შესაძლებლობას აძლევს, დაადასტურონ, რომ მიუხედავად არსებული გამოწვევებისა და მზარდი პოლიტიკური პოლარიზაციისა, საქართველო გამჭვირვალე და პლურალისტური დემოკრატიის გზაზე წინსვლას აგრძელებს. ყველა პარტიას და განსაკუთრებით, მმართველ გუნდს, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება არჩევნების წარმართვასა და პროცესისადმი მოქალაქეთა ნდობის გამყარებაში. შესაბამისად, წინასაარჩევნო პროცესებში პარტიების კონსტრუქციული ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

კონკრეტულ პიროვნებებზე ფოკუსირებული პოლიტიკის და მზარდი პოლარიზაციის შედეგად, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ იმ საკითხებს, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას აწუხებს. ამასთან, პოლიტიკური პარტიების პროგრამებში მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი საკითხები ნაკლებად არის წარმოდგენილი. ყველა პოლიტიკურმა პარტიამ, რომელიც დელეგაციას შეხვდა, გამოხატა სურვილი, საარჩევნო კამპანია საქართველოს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე აწარმოოს. ამისათვის, საჭიროა ერთიანი ძალისხმევით შეიცვალოს კამპანიის წარმოების ისეთი პრაქტიკა, როდესაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების უგულებელყოფა ხდებოდა. ასეთ საკითხებზე პარტიებს შორის საჯარო დისკუსიები დღემდე თითქმის არ გამართულა. შედეგად, მოქალაქეებს უჭირთ ისეთი პარტიის იდენტიფიცირება, რომელიც მათ ინტერესებს გამოხატავს. NDI-ის მიერ 2023 წლის ნოემბერში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 62 პროცენტი მიიჩნევს, რომ მათ ინტერესებს არცერთი პარტია არ გამოხატავს.[7] საქართველოში პოლიტიკური პარტიების

[6] Ibid.

[7] იხ: NDI-ის კვლევის ანგარიში "საზოგადოების განწყობა საქართველოში - 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები" 2023.

უმეტესობა არ ასახავს მოქალაქეთა იდეოლოგიურ და პოლიტიკურ შეხედულებებს. მიუხედავად იმისა, რომ პარტიები გამოთქვამენ მოქალაქეთა ინტერესების უკეთ საპასუხოდ გაერთიანების სურვილს, მცირეა ძალაუფლების ინდივიდუალური ინტერესების გვერდზე გადადების ნება. NDI-ის სადამკვირვებლო მისია დააკვირდება წინასაარჩევნო პერიოდს და იმედოვნებს, რომ პარტიები აწარმოებენ საკითხებზე ორიენტირებულ, პოზიტიურ კამპანიებს და თავს შეიკავებენ დაუსაბუთებელი ბრალდებების გაჟღერებისა და პერსონალური თავდასხმებისგან.

საარჩევნო ადმინისტრაცია

ზოგადი შეფასება: ცესკო არის მაღალი პროფესიონალიზმის მქონე, კომპეტენტური საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანო, რომელმაც ბოლო წლების არჩევნებში კენჭისყრის დღის პროცესების ადმინისტრირებისა და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით ჩატარების მაღალი ტექნიკური ექსპერტიზა გამოავლინა. თუმცა, მისი მიუკერძოებლობის მიმართ ნაკლები ნდობა აქვთ საარჩევნო პროცესში ჩართულ, კრიტიკულად განწყობილ მხარეებს, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების, ოპოზიციური პარტიებისა და მედიის წარმომადგენლებს. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი ელექტრონული ტექნოლოგიები (ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატებისა და შედეგების ელექტრონულად გადაცემის ტექნოლოგია) ამ მასშტაბით პირველად გამოიყენება, ამომრჩევლების ნდობის გაძლიერება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

საარჩევნო ტექნოლოგია: მრავალპარტიული მხარდაჭერით მიღებული ცვლილებების შედეგად, ცესკომ 2024 წლის არჩევნებისთვის ახალი ტექნოლოგიები დანერგა. ახალი ტექნოლოგიები მოიცავს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებს, ხმის მიცემისა და დათვლის აპარატებსა და კენჭისყრის დასრულების შემდეგ პლანშეტების გამოყენებით შედეგების ელექტრონულად გადაცემის ტექნოლოგიას. 2024 წლის არჩევნებზე ამომრჩეველთა თითქმის 90% ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მისცემს ხმას (რაც საარჩევნო უბნების დაახლოებით 75%-ს შეადგენს). ცესკომ 2024 წლის არჩევნებისთვის ტექნოლოგიების შესაძენად კომპანია ღია ტენდერით გამოავლინა. თუმცა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და საარჩევნო ექსპერტებმა გააკრიტიკეს ის ფაქტი, რომ ტენდერის მოთხოვნები წინასწარ იყო მორგებული Smartmatic-ის ტექნოლოგიების პარამეტრებს და შედეგად, ეს კომპანია ტენდერის ერთადერთი მონაწილე იყო. ცესკომ 2023 წლის ოქტომბერში ჩატარებულ შუალედურ და რიგგარეშე არჩევნებზე გამოყენებული ელექტრონული საშუალებების შესაბამისობის გარე აუდიტისთვის საერთაშორისო კომპანია Pro V&V დაიქირავა. კომპანიის მიერ ჩატარებულ აუდიტს სერიოზული პრობლემები არ გამოუვლენია. თუმცა, არ ჩატარებულა ტექნოლოგიის ისეთი აუდიტი, რომელიც ცესკოს დაკვეთით არ იქნებოდა. ცესკომ ტექნოლოგიის პილოტირება პირველად 2018 და 2019 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს დაიწყო; მომდევნო პილოტირება კი 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს და 2022-2023 წლებში პარლამენტის და საკრებულოს შუალედური არჩევნებისა და მერების რიგგარეშე არჩევნების დროს განხორციელდა. ეროვნულ დონეზე წარმომადგენლობითი ე.წ.

„სტრეს ტესტი“, რომელიც ტექნოლოგიებს კენჭისყრის დღის პირობებში გამოცდიდა, არ ჩატარებულა. თუმცა, 2023 წლის არჩევნებში ცესკომ ერთდროულად სამივე ტექნოლოგიის პილოტირება განახორციელა.

საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიები: დელეგაციის მიერ გამართული შეხვედრების დროს, მხარეები საუბრობდნენ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით შერჩეული წევრების შესაძლო პოლიტიკურ მიკერძოებულობაზე; ამასთანავე, ისინი ხაზს უსვამდნენ არჩევნების მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდის მიზნით, შერჩევის პროცესში მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საჭიროებას.

ხმის ფარულობა: ჩართული მხარეები ხშირად საუბრობდნენ მოქალაქეებისა და პარტიების მხრიდან ხმის ფარულობასთან დაკავშირებულ უნდობლობაზე. ყურადღება გამახვილდა კენჭისყრის დღეს ტექნოლოგიების გამოყენებასა და უსაფრთხოების სამსახურების როლის გარშემო არსებულ ეჭვებზე, რამაც შესაძლოა ამომრჩევლებში ხმის ფარულობასთან დაკავშირებით უნდობლობა წარმოშვას. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად საფუძვლიანია გამოთქმული ეჭვები, მათ მაინც შეუძლიათ იქონიონ რეალური გავლენა არჩევნების სანდოობაზე, რაც ხელს შეუშლის ამომრჩეველთა მონაწილეობასა და ღია პოლიტიკური დისკურსის შექმნას. ყველა ჩართულ მხარეს უნდა ჰქონდეს ინტერესი, რომ განმტკიცდეს რწმენა საარჩევნო ინსტიტუტებისა და საქართველოში დემოკრატიული პროცესებისადმი. ამასთან, კვლავ დგას ამ მიმართულებით ამომრჩევლების განათლების გაგრძელების საჭიროება.

ინკლუზიური არჩევნები: საქართველოში ინკლუზიური დემოკრატიის არსებობის დასამტკიცებლად მნიშვნელოვანია ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირების, საარჩევნო პროცესებში სრული ჩართულობის უზრუნველყოფა. ცესკო ძირითად დოკუმენტებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნის, თუმცა არ არის ცხადი, რამდენად საკმარისია ეს საარჩევნო პროცესებში მათი სრულფასოვანი მონაწილეობისთვის. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ ცესკო უზრუნველყოფს ადაპტირებულ საარჩევნო უბნებს. თუმცა, კვლავ დგას ცესკოს, სხვა შესაბამის უწყებებსა და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის დამატებითი კოორდინაციისა და თანამშრომლობის საჭიროება, რათა ფიზიკურ მისაწვდომობასთან დაკავშირებული დარჩენილი საკითხები აღმოიფხვრას.

სამოქალაქო ჩართულობა

სამოქალაქო საზოგადოება: საქართველოში ძლიერი და აქტიური სამოქალაქო საზოგადოებაა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ლიდერების დისკრედიტაციის განგრძობადი მცდელობები ხელს უშლის მათ, შეასრულონ თავიანთი მნიშვნელოვანი როლი, როგორც დემოკრატიულ პროცესებზე დაკვირვების, ასევე სერვისების მიწოდების თუ მოქალაქეთა ინტერესების დაცვის მიმართულებით. ეს განსაკუთრებით აქტუალურია წინასაარჩევნო კონტექსტში. კრიტიკული ხმების ჩახშობის მცდელობები კრიტიკისა და

განსხვავებული მოსაზრებებისადმი მიმღებლობის ნაკლებობაზე მიანიშნებს. ამასთან, დელეგაცია მიესალმება პოლიტიკური აქტორების გონივრულ გადაწყვეტილებას უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონპროექტის გაწვევასთან დაკავშირებით. დემოკრატიული საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა მხოლოდ ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების შეუფერხებელი საქმიანობის პირობებშია შესაძლებელი. სამოქალაქო სადამკვირვებლო ჯგუფებს მონიტორინგის განხორციელება პირადი თუ საჯარო მუქარებისგან თავისუფალ გარემოში უნდა შეეძლოთ. პოლიტიკოსების მხრიდან იმ სადამკვირვებლო ორგანიზაციების საჯარო კრიტიკა, რომლებიც გაეროს მიერ ადამიანის უფლებების დამცველებად არიან აღიარებულნი, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მთავრობის მიერ ღია საარჩევნო გარემოს შექმნის გაცხადებულ მიზანს.

ქალები: აღსანიშნავია, რომ ევროკავშირმა 2023 წლის ივნისში თავდაპირველად გაცემული რეკომენდაციებიდან მე-9 პუნქტი შესრულებულად მიიჩნია, კერძოდ, აღნიშნა: პარლამენტის მიერ სტამბოლის კონვენციის შესაბამისად საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის დამტკიცება; ყველა საკანონმდებლო აქტის სავალდებულო გენდერული ზეგავლენის შეფასების შემოღება; ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დარეგულირებისკენ მიმართული რამდენიმე ცვლილება; ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცება და გენდერული კვოტის მოქმედების გახანგრძლივება 2032 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩათვლით. ამ პროგრესის მიუხედავად, ქალები უმეტესწილად პოლიტიკის მიღმა რჩებიან, განსაკუთრებით საყურადღებოა მათი ნაკლებობა წამყვან პოზიციებზე. ამჟამად, კანონით გათვალისწინებული გენდერული კვოტა პარტიულ სიაში ყოველ ოთხეულში ერთი განსხვავებული სქესის წარდგენის ვალდებულებას მოიცავს, რაც 2028 და 2032 წლისთვის გაიზრდება ყოველ სამეულში ერთი განსხვავებული სქესის წარდგენის ვალდებულებით. საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით ქალი პარლამენტის წევრის მიერ მანდატის დატოვების შემთხვევაში პარტიულ სიაში მომდევნო ქალი კანდიდატით ჩანაცვლდება, ხოლო კაცი პარლამენტის წევრი სიაში მომდევნო კანდიდატით უნდა ჩანაცვლდეს. აგრეთვე, 2020 წელს განახლდა კანონით გათვალისწინებული ფინანსური წამახალისებელი მექანიზმი იმ პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებიც ყოველ სამეულში განსხვავებული სქესის კანდიდატს წარადგენენ. მიუხედავად ამისა, ქალები პარლამენტში მანდატების მხოლოდ 20%-ს ფლობენ და საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) მონაცემებით, საქართველო 124-ე ადგილს იკავებს პარლამენტში წარმომადგენლობის მაჩვენებლით, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქალების შესაძლებლობას, გავლენა იქონიონ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე.[8] გენდერული კვოტა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისთვის საბაზისო პირობებს ქმნის, თუმცა პოლიტიკური პარტიები უნდა გასცდნენ საკანონმდებლო მოთხოვნებს, რათა გენდერული თანასწორობის პრინციპისადმი თავიანთი ერთგულება დაადასტურონ. ქალ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ პარტიები სიის დაკომპლექტებისას იცავდნენ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნას.

[8] იხ: საპარლამენტთაშორისო კავშირის "პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის რეიტინგი"

თუმცა, პარტიული სიის სათავეში ან კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნაზე მეტი ქალის ნომინირება მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ხდება.[9]

ამ გამოწვევასთან ერთად, ქალ პოლიტიკოსებსა და საჯარო პირებზე, მათ შორის სამოქალაქო ლიდერებზე, გენდერული ნიშნით თავდასხმები ხელს უშლის ქალთა მონაწილეობას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც საქართველოში წარმომადგენლობით დემოკრატიას აზიანებს. CRRC საქართველოს მიერ 2022 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე პოლიტიკაში ჩართული ქალების 54 პროცენტს გამოუცდია გარკვეული ფორმის შევიწროება ან ძალადობა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ან საარჩევნო კამპანიის განმავლობაში.[10] თითქმის ყველა გამოკითხული ქალი დეპუტატი აღნიშნავდა, რომ გამოუცდიათ შევიწროების ან ძალადობის რომელიმე ფორმა. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმებია ფსიქოლოგიური ძალადობა (37%), სოციალურ ქსელებში ძალადობა (32%), ეკონომიკური ძალადობა, მათ შორის ფულად და სხვა კუთვნილ რესურსებზე უარის მიღება, ან ქონების განზრახ დაზიანება (25%).

ლგბტქი+ თემი[11]*:* საქართველოში ლგბტქი+ ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ მიმართული მზარდი რიტორიკა თემისთვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს. ფიზიკური ძალადობის საფრთხე და თავისუფლად, დაშინების გარეშე შეკრების შესაძლებლობის ნაკლებობა წინასაარჩევნო პროცესებში მათ სრულფასოვან მონაწილეობას აფერხებს. ეს ტენდენცია თემის დამატებითი მარგინალიზების მნიშვნელოვან რისკს შეიცავს. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ 2021 წლის "პრაიდ მარშის" მოვლენების დროს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ უზრუნველყო ლგბტქი+ თემის წევრებისა და მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოება. ამასთანავე, ვერ მოხერხდა 2023 წლის "პრაიდ ფესტივალზე", შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე ლგბტქი+ თემის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების დაცვა, რამაც თემის ყოველდღიურ ცხოვრებაში და პოლიტიკური მონაწილეობის მხრივ არსებული გამოწვევები კიდევ უფრო დაამძიმა. შესაბამისად, ლგბტქი+ თემისადმი მოპყრობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომია იმისა, თუ რამდენად ერთგულია საქართველოს მთავრობა კონსტიტუციით დაცული ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისადმი.

ეთნიკური უმცირესობები: ეთნიკური უმცირესობები, მათ შორის, ეთნიკურად სომეხი და ეთნიკურად აზერბაიჯანელი თემი, პოლიტიკური პროცესების მიღმაა დარჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი საქართველოს მოსახლეობის 13%-ს შეადგენენ, პარლამენტის სრული შემადგენლობის მხოლოდ ოთხი პროცენტი (6 პარლამენტის წევრი) წარმოადგენს

---

[9] იხ: გაეროს განვითარების პროგრამის გამოცემა "სავალდებულო გენდერული კვოტა საქართველოში" 2022.

[10] იხ: გაეროს ერთობლივი პროგრამა "გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში" - "პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში" 2022.

[11] საყოველთაო შეთანხმება იმის შესახებ, თუ რა აბრევიატურა უნდა იქნას გამოყენებული ლგბტქი+ თემზე საუბრისას, არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ NDI იყენებს „ლგბტქი+" ტერმინს, სხვამ შესაძლოა უპირატესობა განსხვავებულ ტერმინოლოგიას მიანიჭოს. ვინაიდან ეს ტერმინები ფლუიდური, კულტურულად სპეციფიკური და მუდმივად ცვალებადია, NDI უზრუნველყოფს ადგილობრივი პარტნიორებისა და გრანტის მიმღებებთან კომუნიკაციის გზით მათი პრეფერენციების ადგილობრივ კონტექსტში ასახვას.

ეთნიკური უმცირესობას. გარდა ამისა, სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლის შედეგად მაჟორიტარული მანდატების გაუქმებამ, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობაზე, რადგან წარსულში რამდენიმე მაჟორიტარი ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ოლქიდან შეირჩეოდა. ახალი სისტემის პირობებში, პოლიტიკურ პარტიებს, შესაძლოა, პარტიულ სიებში, განსაკუთრებით კი გამსვლელ პოზიციებზე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების შეყვანის ნაკლები მოტივაცია ჰქონდეთ. ენობრივი ბარიერი მნიშვნელოვანი გამოწვევაა წინასაარჩევნო პერიოდში ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი ჩართულობისა და მონაწილეობისთვის. ხელმისაწვდომი მრავალენოვანი საინფორმაციო გამოშვებების არარსებობის გამო, ეთნიკური უმცირესობები სიახლეების გასაცნობად მიმართავენ რუსულ, სომხურ ან/და აზერბაიჯანულ მედია საშუალებებს, რაც ინფორმაციის ნაკლებობას იწვევს. ამასთანავე, ეს გარემოება დეზინფორმაციის მიმართ მათ მოწყვლადობას ზრდის.

ახალგაზრდები: ახალგაზრდები ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სპექტრის მიმართ განსაკუთრებული იმედგაცრუებით გამოირჩევიან. NDI-ის მიერ 2023 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებულ გამოკითხვაში, 18-34 წლის ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ 20%-მა თქვა, რომ ქვეყანაში არის ერთი პარტია მაინც, რომელიც მათ ინტერესებს წარმოადგენს. ამასთანავე, პარლამენტის მუშაობას დადებითად აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიის მხოლოდ 9%, ხოლო უარყოფითად 37% აფასებს. ვინაიდან ახალგაზრდები ვერ ხედავენ არსებულ პოლიტიკურ სპექტრში მათთვის მისაღებ ალტერნატივას, მათი მონაწილეობა არჩევნებში, შესაძლოა შემცირდეს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კაბინების შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის ადაპტირება უზრუნველყო. თუმცა, ქვეყნის მასშტაბით გავრცელებული ინფრასტრუქტურული პრობლემები, როგორიცაა საზოგადოებრივი დაწესებულებების და საგზაო ინფრასტრუქტურის სრულფასოვანი მისაწვდომობის ნაკლებობა, შშმ პირებს დამატებით დაბრკოლებებს უქმნის, ხმა მისცენ საარჩევნო უბნებზე. საკითხის მოგვარება ცესკოს, შესაბამის უწყებებსა და თავად შშმ პირთა თემს შორის კოორდინაციას და თანამშრომლობას მოითხოვს. ცესკო, ასევე, უზრუნველყოფს ჟესტურ ენაზე თარგმნას და გეგმავს არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამარტივებული ენით გავრცელებას. თუმცა, პოლიტიკური პარტიები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ ჟესტურ ენაზე თარგმნას და გამარტივებული დოკუმენტების გამოქვეყნებას, რაც ზღუდავს შშმ პირების შესაძლებლობას, სრულფასოვნად ჩაერთონ დისკუსიებში და გააზიარონ თავიანთი, როგორც პოტენციური ამომრჩევლების შეხედულებები.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

წინა არჩევნების მსგავსად, არსებობს გარკვეული ეჭვები იმის თაობაზე, რომ შესაძლოა მმართველმა პარტიამ ადმინისტრაციული რესურსი საკუთარი საარჩევნო უპირატესობის

მოსაპოვებლად გამოიყენოს. NDI-ის მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, მოსახლეობის 30% საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებად ამომრჩეველთა მოსყიდვას ასახელებს, რაც ორჯერ მეტია ვიდრე რიგით მეორე ყველაზე ხშირად დასახელებული პრობლემა - დარღვევები ხმის მიცემის პროცედურებში[12]. გასულ წლებში ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სადამკვირვებლო მისიები (მათ შორის NDI) გამუდმებით გამოხატავდნენ შეშფოთებას იმის თაობაზე, რომ მმართველ პარტიასა და მთავრობას შორის არ არსებობს მკაფიო გამყოფი ხაზი. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის მიერ მიწოდებული დოკუმენტების საფუძველზე, 2022 წელს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა არჩევნების გაყალბების ბრალდებით საქართველოს პროკურატურაში მასალები წარადგინეს. ხელისუფლების მხრიდან აღნიშნული ბრალდებების შესახებ ღია კომუნიკაციის ნაკლებობა აჩენს კითხვებს როგორც მოსახლეობაში, ასევე პოლიტიკურ პარტიებსა და სხვა ჩართულ მხარეებში, იმის თაობაზე, იყენებს თუ არა ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსს საარჩევნო პოლიტიკური მიზნებისთვის.

საინფორმაციო გარემო

საქართველოში მედია პლურალისტური, თუმცა პოლიტიკურად ძალზე მიკერძოებულია, რაც მნიშვნელოვანი საკითხების დაუბალანსებელ გაშუქებაში გამოიხატება. ხშირად, საკითხის გაშუქება ფაქტების ნაცვლად ემოციებზე აპელირების ხარჯზე ხდება. Vibrant Information Barometer-ის (VIBE) მიხედვით, საქართველოს საინფორმაციო გარემოს შეფასება 2020 წლიდან 2023 წლამდე 6 ქულით შემცირდა, რაც ძირითადად განპირობებულია დამაზიანებელი ინფორმაციის/სიძულვილის ენის შემთხვევების ზრდით, უცხოური და ადგილობრივი წარმოშობის დეზინფორმაციის გავრცელებით და დამოუკიდებელი და კრიტიკული მედიის მძიმე ფინანსური მდგომარეობით.[13] Freedom House-ის მიხედვით, "ჟურნალისტების დაშინება და მათ მიმართ ზეწოლა საფრთხეს უქმნის მედიის თავისუფლებას."[14] მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მსგავსად, მედიის ბიზნეს მოდელი ხელს უწყობს პოლარიზაციის გაღრმავებას, რადგან დაფინანსების დამოუკიდებელი წყაროების ნაკლებობის გამო, მედია საშუალებები მათი დამფინანსებლების პოლიტიკური გავლენის ქვეშ ექცევიან. შესაბამისად, პოლიტიკური ჯგუფებსა და მედია საშუალებებს აქვთ ტოქსიკური პოლიტიკური დისკურსისა და ეთნო-ნაციონალისტური რიტორიკის გაძლიერების შესაძლებლობა. აღნიშნული მდგომარეობა განსაკუთრებით დამაზიანებელია ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფებისთვის, როგორიცაა: ლგბტქი+ თემი, და ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, რომლებიც ხშირად ხდებიან მსგავსი ტოქსიკური რიტორიკის სამიზნეები. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატებმა, როგორც მმართველი პოლიტიკური გუნდიდან, ისე ოპოზიციური

[12] იხ: NDI-ის კვლევის ანგარიში "საზოგადოების განწყობა საქართველოში - 2020 წლის აგვისტოს სატელეფონო გამოკითხვის შედეგები" 2020.
[13] იხ: IREX-ის "Vibrant Information Barometer 2023: Georgia" 2023.
[14] იხ: Freedom House: "Georgia: Freedom in the World 2023 Country Report" 2023.

პარტიებიდან, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა მაუწყებლის გადაცემებში, რათა ამომრჩეველს ჰქონდეს შესაძლებლობა, მოუსმინოს შინაარსობრივ დებატებს და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით კანდიდატების პოზიციებს გაეცნოს.

რეკომენდაციები

საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების ქმედებებს 2024 წლის არჩევნებისთვის მზადების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფრო ინკლუზიური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული არჩევნების ხელშეწყობისთვის. მნიშვნელოვანია იმ რეკომენდაციების გათვალისწინება, რომლებიც ადგილობრივმა დამკვირვებლებმა და საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის NDI-მ, წინა სადამკვირვებლო მისიების ფარგლებში გასცეს და დღემდე შეუსრულებელია. წინამდებარე ანგარიში მოიცავს ქმედით რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც არჩევნებამდე დარჩენილი რვა თვის განმავლობაშია შესაძლებელი. ხოლო უფრო გრძელვადიანი, სისტემური რეკომენდაციები NDI-ის საბოლოო სადამკვირვებლო ანგარიშში იქნება ასახული, რომელიც 2024 წლის საარჩევნო ციკლს შეაჯამებს.

რეკომენდაციები პარტიების და პოლიტიკური დისკურსის შესახებ

- *საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს*: პოლიტიკურ პოლარიზაციასთან საბრძოლველად, საარჩევნო პროცესებში ჩართულმა ყველა მხარემ საჯაროდ ცნოს სხვა აქტორების, მათ შორის, განსხვავებული ხედვების მქონე მხარეთა, ლეგიტიმურობა და პროაქტიულად აღიაროს, რომ დემოკრატიული არჩევნების არსი განსხვავებული შეხედულებების მქონე პირთა პატივისცემაა. ამასთანავე, შეწყდეს სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ მტრული რიტორიკა და მათი საქმიანობის დისკრედიტაციის მცდელობები.
- *პოლიტიკურ პარტიებს:* პარტიებმა საკითხებზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავებისთვის საზოგადოების, მათ შორის, სამოქალაქო ჯგუფების, ინტერესები გაითვალისწინონ. პარტიებმა, საკითხებზე ორიენტირებული კამპანიის ხელშესაწყობად, საზოგადოებას თავიანთი ხედვა საარჩევნო პერიოდის მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე წარუდგინონ. ამასთან, მკაფიოდ გამოხატონ, თუ რის მიღწევას აპირებენ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.
- *პოლიტიკურ პარტიებს:* პარტიებმა მონაწილეობა მიიღონ მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა მედია საშუალების მიერ ორგანიზებულ, საკითხებზე ორიენტირებულ დებატებსა და დისკუსიებში.
- *მედიას:* მედია საშუალებებმა დანერგონ ახალი, ინკლუზიური მიდგომები პოლიტიკურ პარტიებს შორის საგნობრივი პოლიტიკური დებატების გასამართად, რაც ხმის მიცემამდე მოქალაქეთა სათანადო ინფორმირებას უზრუნველყოფს.

სამოქალაქო ჩართულობა

რეკომენდაციები არჩევნებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებით

- *საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს:* საარჩევნო პროცესებში ჩართულმა მხარეებმა საჯაროდ აღიარონ, რომ სამოქალაქო სადამკვირვებლო ორგანიზაციები

საარჩევნო პროცესებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და მათ მიერ მომზადებული ანგარიშები, მიგნებები და რეკომენდაციები არჩევნების სანდოობის ხელშეწყობას ემსახურება. ამავდროულად, უნდა შეწყდეს აღნიშნული ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული მტრული რიტორიკა და მათი საქმიანობის დისკრედიტაციის მცდელობები.

- *მთავრობას:* მთავრობამ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის სხვადასხვა ინკლუზიური პლატფორმა გამოიყენოს. ამასთანავე, საარჩევნო პროცესის კეთილსინდისიერების მიმართ საზოგადოების ნდობის უზრუნველსაყოფად, განიხილოს მათი კონსტრუქციული კრიტიკა და შემოთავაზებები.
- *სამოქალაქო საზოგადოებას:* სამოქალაქო საზოგადოებამ არჩევნების პროცესში ჩართულ ყველა მხარესთან კონსტრუქციული თანამშრომლობის მიზნით გამოიყენოს სხვადასხვა ინკლუზიური პლატფორმა. ამასთანავე, საარჩევნო პროცესის კეთილსინდისიერების მიმართ საზოგადოების ნდობის გასაზრდელად, გააჟღერონ კონსტრუქციული კრიტიკა და მოსაზრებები.
- *საერთაშორისო საზოგადოებას:* საერთაშორისო საზოგადოებამ გააგრძელოს სამოქალაქო საზოგადოების უწყვეტი, საჯარო და თანმიმდევრული მხარდაჭერა, რაც ეფუძნება საქართველოს მოსახლეობის მისწრაფებას, ჰქონდეთ უფრო დემოკრატიული, წარმატებული და ანგარიშვალდებული მმართველობის სისტემა.

რეკომენდაციები საარჩევნო პროცესში ქალების როლის შესახებ

- *პოლიტიკურ პარტიებს:* პოლიტიკურმა პარტიებმა მოიზიდონ, გადაამზადონ და მხარი დაუჭირონ ქალებს, როგორც საპარლამენტო, ისე შემდგომი არჩევნებისთვის და სათანადო რესურსებით უზრუნველყონ. პარტიებმა კიდევ უფრო განავითარონ პარტიული ინფრასტრუქტურა ქალების მხარდასაჭერად, ხოლო პარტიის პოლიტიკურ დღის წესრიგში შეიტანონ ქალებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხები.
- *პოლიტიკურ პარტიებს:* პოლიტიკურმა პარტიებმა შეიმუშაონ პარტიული სიის შედგენის უფრო გამჭვირვალე და დემოკრატიული პროცესი; მხარი დაუჭირონ წამყვან თანამდებობებზე მყოფ ქალ პოლიტიკოსებს.
- *პოლიტიკურ პარტიებს:* ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ფინანსური წამახალისებელი მექანიზმით გათვალისწინებული დაფინანსება გენდერის მეინსტრიმინგსა და პარტიული ორგანიზაციის შიგნით ქალების გაძლიერებას მოხმარდეს. აღნიშნული კანონის მიერ დაწესებულ მოთხოვნას წარმოადგენს, თუმცა ხშირად პრაქტიკაში არ ხორციელდება.

ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების - მათ შორის, ლგბტქი+ თემის, ეთნიკური უმცირესობების, ახალგაზრდების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების - მონაწილეობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

- *საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს*: საარჩევნო პროცესებში ჩართულმა ყველა მხარემ, მათ შორის უსაფრთხოების სამსახურებმა, დაგმონ ფიზიკური ძალადობა და

სიტყვიერი თავდასხმები, რათა არჩევნებში ყველა მოქალაქის თავისუფალი მონაწილეობა უზრუნველყონ.

- *ცესკოს:* ცესკომ უზრუნველყოს ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, არჩევნებში სრულფასოვანი მონაწილეობა, ამ ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული პირობებისა და ამომრჩეველთა საგანმანათლებლო მასალების შემუშავებით.
- *შინაგან საქმეთა სამინისტროს:* შსს-მ უზრუნველყოს შესაბამისი დამცავი მექანიზმების არსებობა, რათა გაიზარდოს მოსახლეობის ნდობა საარჩევნო პროცესებისადმი და მოქალაქეებმა შეძლონ თავიანთი ძირითადი უფლებების - მათ შორის, შეკრების უფლების - შეუფერხებლად განხორციელება. ნდობის განსამტკიცებლად, მნიშვნელოვანია სამართალდამცავები გადამზადდნენ წინასაარჩევნო პერიოდში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების და მათი აღრიცხვის მიმართულებით. გარკვეული ჯგუფების მიმართ ძალადობის უახლესი ისტორიის გათვალისწინებით, ძლიერი და პროაქტიული მექანიზმებია საჭირო დამატებითი გარანტიების უზრუნველსაყოფად.
- *პოლიტიკურ პარტიებს:* პოლიტიკურმა პარტიებმა მოიზიდონ, გადაამზადონ და მხარი დაუჭირონ ეთნიკურ უმცირესობებს და სხვა ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებს, როგორც საპარლამენტო, ისე შემდგომი არჩევნებისთვის და ისინი სათანადო რესურსებით უზრუნველყონ.

საარჩევნო ადმინისტრაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

- *ცესკოს:* ცესკომ გააძლიეროს კენჭისყრის ფარულობის შესახებ ეჭვების დაძლევისკენ მიმართული ძალისხმევა; იმუშაოს ყველა პოლიტიკურ პარტიასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რათა ამომრჩეველთა ინფორმირების გზით, დაარწმუნოს მოსახლეობა, მათ შორის ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფები, რომ მათი ხმის ფარულობა დაცულია.
- *შინაგან საქმეთა სამინისტროს:* შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნების დღეს მისი როლის გამჭვირვალობა; აგრეთვე, კენჭისყრის ფარულობისადმი ნდობის გაძლიერების მიზნით, უპასუხოს სამინისტროს საქმიანობის ირგვლივ არსებულ ეჭვებს.
- *ცესკოს*: სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ცესკომ განიხილოს არჩევნების ტექნოლოგიების ეროვნული მასშტაბის ტესტირება, რომელიც გაიმართება არჩევნების დღისთვის დამახასიათებელ პირობებში, რათა კიდევ უფრო გაზარდოს საზოგადოების ნდობა.
- *ცესკოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს:* ცესკომ და საგარეო საქმეთა სამინისტრომ წარმართოს საზღვარგარეთ უბნების შექმნის უფრო გამჭვირვალე პროცესი და, სადაც შესაძლებელია, უზრუნველყოს საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების პასიური საარჩევნო უფლების რეალიზება.
- *ცესკოს*: ცესკომ გააგრძელოს და გააფართოოს ამომრჩეველთა, განსაკუთრებით ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების, ინფორმირების კამპანიები ახალი

ტექნოლოგიებისა და საარჩევნო პროცესების თაობაზე. მნიშვნელოვანია აღნიშნული აქტივობების წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში რეგულარული შეფასება, იმისათვის, რომ განისაზღვროს რამდენად საკმარისია გაწეული ძალისხმევა.

- *მედიას:* მედიამ უზრუნველყოს ამომრჩევლების ზუსტი და დროული ინფორმირება საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ტექნოლოგიების დანერგვის და საარჩევნო პროცესის ტექნიკური ასპექტების თაობაზე.
- *ცესკოს:* საარჩევნო უბნების საერთო რაოდენობის შემცირების ფონზე, ცესკომ გააგრძელოს უბნების შესაძლებლობების შეფასება რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობის სამართავად.
- *ცესკოს:* სამოქალაქო საზოგადოებასთან კოორდინაციით, ცესკომ გააგრძელოს საუბნო და საოლქო კომისიის ყველა წევრის გადამზადება, განსაკუთრებით რეგიონებსა და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, რათა მიიღონ საფუძვლიანი ცოდნა ტექნოლოგიების გამოყენებისა და მასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ.
- *ცესკოს*: ნდობის განმტკიცების მიზნით, ცესკომ გაზარდოს საუბნო და საოლქო კომისიის წევრების შერჩევის პროცესის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, ამასთანავე, წაახალისოს კომისიის წევრების მიერ მათი მოვალეობების მიუკერძოებლად შესრულება.

ადმინისტრაციულ რესურსთან დაკავშირებული რეკომენდაციები

- *საქართველოს პროკურატურას*: პროკურატურამ უზრუნველყოს წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩეველთა მოსყიდვისა და დაშინების შესახებ საჩივრებზე დროული რეაგირება.
- *ხელისუფლებას:* მთავრობის ლიდერებმა გამოიჩინონ მკაფიო და თანმიმდევრული ძალისხმევა, რომ პარტიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა უზრუნველყონ და არ დაუშვან საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გამოყენება. მთავრობის ხელმძღვანელობამ ყველა საჯარო მოხელეს და საზოგადოებას მკაფიო მესიჯი უნდა გაუგზავნოს, რომ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მიმართ შეუწყნარებელი იქნება და რომ კანონდამრღვევებს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

რეკომენდაციები საინფორმაციო გარემოს შესახებ

- *საარჩევნო პროცესებში ჩართულ ყველა მხარეს:* პოლიტიკურმა პარტიებმა, ხელისუფლების და მედიის წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ ჟურნალისტების და ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების, განსაკუთრებით ლგბტქი+ თემის, წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის გამოყენებისგან ან გაშუქებისგან და ქალ პოლიტიკოსებსა და სამოქალაქო აქტივისტებზე მიზოგინიური თავდასხმებისგან.
- *მედიას:* საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და კერძო მედია საშუალებებმა საკუთარ გადაცემებში ჩართონ პოლიტიკური პარტიების მრავალფეროვანი სპექტრი. ყველა

პოლიტიკური პარტია შეთანხმდეს, რომ ჩაერთვებიან როგორც თანამოაზრე, ისე განსხვავებული პოზიციების მქონე მედიის გადაცემებში და მონაწილეობას მიიღებენ კანდიდატებს შორის გამართულ დებატებში.

- *მთავრობას:* მთავრობამ წამყვანი როლი შეასრულოს ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში და საჯაროდ განაცხადოს, რომ დემოკრატია აღიარებს ყველა ადამიანის უფლებას, ისარგებლოს ძირითადი თავისუფლებებითა და კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით.
- *მედიას:* მედია საშუალებებმა გამიჯნონ სარედაქციო და საინფორმაციო სეგმენტები.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)

NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეში დემოკრატიული ინსტიტუტების - მათ შორის მოქალაქეების ჩართულობის, ხელისუფლების ღიაობის და ანგარიშვალდებულების - გაძლიერებისთვის მუშაობს. დღემდე NDI-მ მსოფლიოს ყველა რეგიონში 200-მდე არჩევნების დაკვირვება განახორციელა. საქართველოში NDI არჩევნებს 1992 წლიდან აკვირდება.

საკონტაქტო ინფორმაცია

თბილისი, საქართველო
ალან გილამი agillam@ndi.org
გვანცა ნადირაძე gnadiradze@ndi.org (+995 593 788330)

ვაშინგტონი, აშშ
ევა ბუშა ebusza@ndi.org
პაულინა ჩავეზ ალონზო media@ndi.org

დანართები

<u>დანართი 1: დელეგაციის შეხვედრებში მონაწილე ორგანიზაციებისა და სუბიექტების ჩამონათვალი</u>

ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო)

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი

შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს)

ანტიკორუფციული ბიურო

პოლიტიკური პარტიები და პლატფორმები: ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის, ევრო-ოპტიმისტები, გირჩი, რეფორმების ჯგუფი, მოქალაქეები, საქართველოსთვის, სამართლიანობისთვის, ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა, ევროპული საქართველო.

სამოქალაქო საზოგადოება: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, საერთო სამოქალაქო მოძრაობა - მრავალეროვანი საქართველო, ასოციაცია ანიკა, საქართველოს რეფორმების ასოციაცია, მედიის განვითარების ფონდი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თბილისი პრაიდი, ქალთა საინფორმაციო ცენტრი.

კვინა ტილ კვინა (Kvinna till Kvinna)

მედია: რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსი, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, civil.ge, ფორმულა, იმედი, ინტერპრესნიუსი (IPN), მთავარი არხი, რადიო თავისუფლება - თბილისის ბიურო, რუსთავი 2, ტაბულა.

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები: ამერიკის შეერთებული შტატები, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, დანია, ესტონეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლატვია, ნიდერლანდების სამეფო, ნორვეგია, შვეიცარია, გაერო, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ევროპის საბჭო, ნატო-ს სამეკავშირეო ოფისი.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI)

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES)